№ 0907 09 07 2021

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
მინისტრის მოადგილეს ნინო თანდილაშვილს

გაცნობებთ, რომ შპს კავკას მეტალის მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, რომელიც ეხება ქ. თბილისში ლითონის ცხელი მოთუთიების (დამცავი ლითონის ფერით დაფარვა) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის გზშ-ს ანგარიშს, მიმდინარეოდა ადმინისტრაციული წარმოება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (შემდგომში „სამინისტრო").

30/03/2021 წლის N 3139/01 სამინისტროს წერილის შესაბამისად შპს კავკას მეტალმა მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას საპროექტო ტერიტორიის ზონირებასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2021 წლის 02 ივლისს გამოსცა დადგენილება N 84-69 და შეიცვალა შპს კავკას მეტალის საპროექტო ტერიტორიის ზონა (მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.18.12.010.081 დადგენილებით N 84-69-ით ვრცელდება სამრეწველო ზონა 2 (ს-2)).

საპროექტო ტერიტორიის ზონირების შეთანხმების საკითხი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტთან მიმდინარეობდა სათანადო ეტაპების გავლით, რამაც გასტანა მეტხანს ვიდრე სამინისტროს 30/03/2021 წლის N 3139/01 წერილში იყო მითითება. შესაბამისად, პირველივე შესაძლებლობისთანავე 30/03/2021 წლის N 3139/01 სამინისტროს წერილის პასუხად გიგზავნით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტთან საპროექტო ტერიტორიის ზონირების შეთანხმების დამადასტურებელ დოკუმენტს -დადგენილებას, რის საფუძველზეც გთხოვთ განაახლოთ ადმინისტრაციული წარმოება ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

იხ. დანართი:

1. სამინისტროს 30/03/2021 წლის N 3139/01 წერილი;
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N 84-69;

პატივისცემით,

შპს კავკას მეტალი

დირექტორი /კონსტანტინე წირღვავა/